

მდინარე ვერეზე 2015 წლის 13 ივნისის კატასტროფული წყალმოვარდნა,
გამომწვევი მიზეზები და ჩატარებული პრევენციული ღონისძიებები

*მერაბ ალავერდაშვილი, გურამ გრიგოლია, ნუნუ ცინცაძე,
ნანა კოკაია, დარეჯან კიკნაძე, ნესტან ხუფენია*

ელ-ფოსტა: merab.alaverdashvili@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 3

2015 წლის 13 ივნისის კატასტროფული წყალმოვარდნის შემდეგ, განვითარებული სტიქიის გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქ. თბილისის ფარგლებში კატასტროფული მოვლენა გამოიწვია მთელს აუზში მოსულმა უხვმა, ძლიერმა ინტენსიურმა ნალექმა, რასაც თან დაერთო ჯოხონისხევის კლდოვანი ქანების და მასთან ერთად ვრცელი ტყის მასივის ჩამოშლა, რის შედეგადაც საკმაოდ მოდიდებულმა მდინარემ მიიღო მძლავრი ღვარცოფული ნაკადი, რამაც ვაკე-საბურთალოს გვირაბთან ჩახერგა ორი სატვირთო ავტომანქანა, ზედ მიაყარა რკინის კონსტრუქციები, ხე-ტყე და გამოიწვია მდინარის შეგუბება 17 მეტრის ღონის მატებით, მისი გარღვევის შემდეგ კი, როგორც გვირაბის ზემოთ, ასევე მის ქვემოთ დატრიალდა სტიქიური უბედურება, დაიღუპა 23 ადამიანი.

წყალმოვარდნის შემდეგ ჩატარებული პრევენციული ღონისძიებებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თვით მდინარის მიერ გაგანიერებული, გასუფთავებული კალაპოტის გარკვეული მონაკვეთის 15 მეტრის სიგანის და 5.5 მ-ის სიმაღლის მთლიანად ბეტონირება, აუზის შუა ნაწილში ორი მძლავრი კლდოვანი ნატანისა და ხე-ტყის შემაკავებელი ცხაურის ტიპის რკინა-ბეტონის კონსტრუქციის გაკეთება და სხვა საინჟინრო სამუშაოები.